საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის გასტრონომიული ფესტივალის „გემო ფესტი“ მონაწილეთა შერჩევის წესი

ფესტივალი „გემო ფესტი“ წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ დაარსებულ გასტრონომიულ ფესტივალს, რომლის მიზანია საქართველოს რეგიონების მრავალფეროვანი სამზარეულოს პოპულარიზაცია და აღნიშნულ სფეროში მომუშავე ადგილობრივი მეწარმეების ხელშეწყობა.

წინამდებარე წესის შემუშავების მიზანს წარმოადგენს ფესტივალი „გემო ფესტის“ მონაწილეთა შერჩევის პროცედურისა და შესარჩევი კრიტერიუმების განსაზღვრა.

ტერმინთა განმარტება

ადმინისტრაცია - სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია;

ადგილობრივი მაცხოვრებელი - ფესტივალი „გემო ფესტის“ მიმდინარეობის პერიოდში რეგიონში მცხოვრები პირი;

კონკურსანტი - „გემო ფესტში“ მონაწილეობის მსურველთა შესარჩევ კონკურსში მონაწილე პირი;

მონაწილე - ფესტივალი „გემო ფესტის“ კონკურსში შერჩეული პირი;

ადმინისტრაციის ოფიციალური ვებ გვერდი - https://gnta.ge/ ;

ადმინისტრაციის ოფიციალური საკონტაქტო მეილი - gemofest@gnta.ge ;

„გემო ფესტის“ ოფიციალური Facebook გვერდი - https://www.facebook.com/GemoFest/?locale=ka_GE;

ვენდორი - ამ წესის მიზნებისთვის ფესტივალზე კვების მომსახურების მიმწოდებელი (მოვაჭრე);

კომისია - წინამდებარე წესის მე-8 მუხლით განსაზღვრულ პირთა შემადგენლობა;

ნამუშევარი - კერძი, რომელიც მომზადებულ იქნა „გემო ფესტში“ მონაწილეობის მსურველი კონკურსანტის მიერ;

ონლაინ აპლიკაცია - „გემო ფესტის“ საკონკურსო აპლიკაცია, რომელსაც ავსებს კონკურსის მონაწილე;

განაცხადი - ამ წესის მიზნებისთვის, იგივე, რაც კონკურსანტის მიერ შევსებული ონლაინ აპლიკაცია.

თავი I. ძირითადი ნაწილი

მუხლი 1. „გემო ფესტის“ კონკურსის ჩატარების ეტაპები

1.1. „გემო ფესტის“ მონაწილეთა შესარჩევი კონკურსის შესახებ ინფორმაციის გავრცელება ხორციელდება ელექტრონული ფორმით, მათ შორის, ვებ გვერდის: https://gnta.ge/ და „გემო ფესტის“ Facebook გვერდის მეშვეობით: https://www.facebook.com/GemoFest/?locale=ka_GE.

1.2. დაინტერესებულ პირებს, შესაძლებლობა აქვთ, „გემო ფესტის“ შესარჩევ კონკურსში მონაწილეობის მიზნით, ამ წესის 1.1. პუნქტის შესაბამისად „გემო ფესტის“ კონკურსის შესახებ ინფორმაციის განთავსებიდან არაუმეტეს 7 კალენდარული დღის ვადაში, ადმინისტრაციას წარუდგინონ შევსებული განაცხადი და ამ წესის მე-2 მუხლით მოთხოვნილი სავალდებულო დოკუმენტაცია.

1.2.1. კონკურსში მონაწილეობის მსურველი პირებისათვის, ამ წესის 1.2. პუნქტის შესაბამისად განაცხადის წარდგენის ვადა სრულდება მე-7 კალენდარულ დღეს, 18:00 სთ-ზე.

1.3. „გემო ფესტის“ შესარჩევი კონკურსი შედგება სამი ეტაპისაგან, რომელთაგან:

1.3.1 პირველი ეტაპი მოიცავს კონკურსანტის განაცხადის მიღებისა და ფორმალურ კრიტერიუმებთან შესაბამისობის განსაზღვრის ეტაპსა (დასაშვებობის ეტაპი);

1.3.2. მეორე ეტაპი მოიცავს გასაუბრებას;

1.3.3. მესამე ეტაპი მოიცავს დეგუსტაციას, რომელიც თავის მხრივ იყოფა ორ ეტაპად:

1.3.3.1. **დეგუსტაციის პირველი ეტაპი** მოიცავს კომისიის წინაშე საკუთარი სურვილით შესაბამისი კერძის მომზადებისა და დეგუსტაციას;

1.3.3.2. **დეგუსტაციის მეორე ეტაპი** მოიცავს კომისიის წინაშე მესამე ეტაპზე მომზადებული კერძის გაუმჯობესებული ვარიანტის წარდგენასა და დეგუსტაციას.

1.4. გემო ფესტში მონაწილეობის მიღების მიზნით, კონკურსანტები ავსებენ აპლიკაციას, რომელიც კონკურსის გამოცხადებისას განთავსდება ადმინისტრაციის ოფიციალურ ვებ-გვერდსა და „გემო ფესტის“ შესაბამის Facebook გვერდზე.

1.5. ყოველი ახალი „გემო ფესტის“ ჩატარებისას, ფესტივალის მონაწილეთა რაოდენობას განსაზღვრავს ადმინისტრაცია, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ინდივიდუალური ბრძანებით.

1.6. იმ შემთხვევაში, თუ „გემო ფესტში“ მონაწილეობის მსურველ კონკურსანტთა რაოდენობა ან/და საბოლოოდ შერჩეულ მონაწილეთა რაოდენობა ნაკლები იქნება ამ წესის 1.7. პუნქტის საფუძველზე განსაზღვრულ მონაწილეთა რაოდენობაზე, ადგილობრივ მუნიციპალიტეტს შეუძლია ადმინისტრაციას წარუდგინოს დამატებითი მონაწილეობის მსურველი კანდიდატ(ებ)ი, რომელთაც მიეცემათ დამატებითი ვადა გამარტივებული ფორმით აპლიკაციის შესავსებად.

მუხლი 2. კონკურსის მონაწილეთა მიერ წარმოსადგენი სავალდებულო დოკუმენტები

2.1. კონკურსის მონაწილე ვალდებულია კონკურსში მონაწილეობის მიზნით ადმინისტრაციას, განსაზღვრულ ვადაში წარუდგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

2.1.1. შევსებული განაცხადი;

2.1.2. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

2.1.3. ცნობა საცხოვრებელი ადგილის შესახებ (სამისამართო ცნობა); ან გამგეობის მიერ გაცემული ცნობა, რაც დაადასტურებს პირის, ან მისი ოჯახის წევრ(ებ)ის, ან ახლო ნათესავ(ებ)ის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების ფაქტს.

2.2. კონკურსის მონაწილე ვალდებულია ამ წესის 3.1. პუნქტით გათვალისწინებული საქმიანობის შესაბამისად, ადმინისტრაციას წარუდგინოს ერთ-ერთი შესაბამისი დოკუმენტი, რაც ადასტურებს, რომ მას გააჩნია:

2.2.1. მცირე კვების ობიექტი;

2.2.2. ეწევა ოჯახში სამასპინძლო მომსახურებას;

2.2.3. წარმოადგენს კვების ვენდორს;

2.2.4. დამწყებ მზარეულს.

2.3. ამ წესის 2.2.1. პუნქტით გათვალისწინებული საქმიანობის დადასტურების მიზნით, კონკურსის მონაწილე ვალდებულია წარმოადგინოს შესაბამისი დოკუმენტაცია (ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ან ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრიდან).

2.4. ამ წესის 2.2.2. პუნქტით გათვალისწინებული საქმიანობის დადასტურების მიზნით, კონკურსის მონაწილე ვალდებულია წარმოადგინოს შესაბამისი: ფოტო მასალა; ან/და ვიდეომასალა.

2.5. ამ წესის 2.2.3. პუნქტით გათვალისწინებული საქმიანობის დადასტურების მიზნით, კონკურსის მონაწილე ვალდებულია წარმოადგინოს შესაბამისი: ფოტო მასალა; ან/და ვიდეომასალა; ან/და მსგავს ფესტივალებსა და კონკურსებში მონაწილეობის დამადასტურებელი ცნობა ან/და ფესტივალის ორგანიზატორებისაგან გაცემული წერილობითი რეკომენდაცია.

2.6. ამ წესის 2.2.4. პუნქტით გათვალისწინებული საქმიანობის დადასტურების მიზნით, კონკურსის მონაწილე ვალდებულია წარმოადგინოს შესაბამისი სამოტივაციო წერილი.

2.7. კონკურსის მონაწილე ვალდებულია კონკურსში მონაწილეობის მიზნით წარმოადგინოს შევსებული ონლაინ აპლიკაცია (განაცხადი) და შესაბამისი სავალდებულო დოკუემნტაცია.

მუხლი 3. „გემო ფესტის“ მონაწილეთათვის განსაზღვრული სავალდებულო კრიტერიუმები

3.1. იმისათვის, რომ „გემო ფესტში“ მონაწილეობა მიიღოს კონკურსანტმა, სავალდებულოა, რომ აკმაყოფილებდეს ერთ-ერთ შემდეგ კრიტერიუმს:

3.1.2. ეწევა ოჯახში სამასპინძლო მომსახურებას;

3.1.3. გააჩნია მცირე კვების ობიექტი;

3.1.4. წარმოადგენს კვების ვენდორს;

3.1.5. დამწყებ მზარეულს.

3.2. კონკურსის მონაწილე სავალდებულოა წარმოადგენდეს ადგილობრივ მაცხოვრებელს;

3.3. „გემო ფესტის“ მონაწილეთა შესარჩევ კონკურსზე მონაწილე წარადგენს ადგილობრივ, რეგიონისთვის დამახასიათებელ გემოებზე დაფუძნებულ ნამუშევარს (ადგილობრივი კერძი არ მოიცავს მხოლოდ ძველსა და ტრადიციულ კერძს, არამედ შესაძლებელია კონკურსანტმა კომისიას წარუდგინოს მის მიერ შექმნილი ახალი კერძი, რომელიც დაეფუძნება ადგილობრივ ინგრედიენტებსა და რეგიონისათვის დამახასიათებელ გემოებს).

3.4. მონაწილეთა შერჩევის პროცესში უპირატესობა ენიჭება დამწყებ კონკურსანტებს.

მუხლი 4. კონკურსანტთა მიერ განცხადებების წარდგენის ეტაპი

4.1. ადმინისტრაციის წარმომადგენელი არაუმეტეს 10 სამუშაო დღის ვადაში ამოწმებს ამ წესის პირველი პუნქტის თანახმად წარმოდგენილი შევსებული განაცხადისა და წინამდებარე წესის მე-2 მუხლის თანახმად წარმოდგენილი დოკუმენტაციის სისწორეს, ასევე ამოწმებს ამ წესის 3.1. და 3.2. პუნქტებით განსაზღვრულ კრიტერიუმებთან ფორმალურ შესაბამისობას, რის შემდგომაც კონკურსანტს განაცხადში მითითებულ **საკონტაქტო მეილზე აცნობებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:**

4.1. კონკურსანტის განაცხადის წარმატებით მიღებისა და გასაუბრებაზე მოწვევის შესაღებ;

4.2. ადგენს განაცხადის ტექნიკურ ხარვეზს და ტექნიკური ხარვეზის გამოსასწორებლად კონკურსანტს განუსაზღვრავს 3 სამუშაო დღეს. დაწესებულ ვადაში ტექნიკური ხარვეზის გამოუსწორებლობა ავტომატურად გულისხმობს უარს კონკურსში მონაწილეობაზე;

4.3. ამ წესის 4.2. პუნქტით განსაზღვრული ვადის ამოწურვიდან 5 სამუშაო დღეში, მითითებულ მეილზე კონკურსანტს ეცნობება შესაბამისი პასუხი ხარვეზის აღმოფხვრისა და განაცხადის წარმატებით მიღების თაობაზე; ან ხარვეზის ვერ აღმოფხვრისა და განაცხადის მიღებაზე უარის თაობაზე.

4.4. ამ წესის 3.1. პუნქტით განსაზღვრულ კრიტერიუმებთან ფორმალური შეუსაბამობის გამო, კონკურსის შემდგომ ეტაპზე გადასვლაზე უარის თაობაზე.

მუხლი 5. გასაუბრების ეტაპი

5.1. კონკურსანტი გასაუბრებაზე წარდგება ამ წესის მე-8 მუხლით განსაზღვრული „გემო ფესტის“ მონაწილეთა შესარჩევი კომისიის წინაშე.

5.2. გასაუბრების ეტაპის შემდგომ, კონკურსანტი საკუთარ განაცხადში მითითებული ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, 10 სამუშაო დღის ვადაში მიიღებს ერთ-ერთ შემდეგ შეტყობინებას:

5.3. გასაუბრების ეტაპის წარმატებით გავლისა და დეგუსტაციის პირველ ეტაპზე მოწვევის შესახებ.

5.4. გასაუბრების ეტაპის ვერ გადალახვის შესახებ, რა შემთხვევაშიც კონკურსანტი ვეღარ აგრძელებს მონაწილეობას კონკურსის შემდგომ ეტაპებზე.

მუხლი 6. ნამუშევრების (კერძების) დეგუსტაციის პირველი ეტაპი

6.1. კონკურსანტთა ნამუშევრების დეგუსტაცია შედგება ორი ეტაპისგან.

6.2. კონკურსის მონაწილეთა ნამუშევრების დეგუსტაციას ახორციელებს ამ წესის მე-8 მუხლით განსაზღვრული **გემო ფესტის მონაწილეთა შესარჩევი კომისია.**

6.3. ნამუშევრების დეგუსტაციის პირველ ეტაპზე კონკურსის მონაწილეები კომისიას წარუდგენენ კომისიის წინაშე, ადგილზე, საკუთარი სურვილით მომზადებულ ნამუშევრებს.

6.4. დეგუსტაციის პირველ ეტაპზე კომისიის წევრები:

6.4.1. საჭიროების შემთხვევაში კონკურსანტს აძლევენ რეკომენდაციებს დეგუსტაციის მეორე ეტაპზე ნამუშევრის გაუმჯობესების მიზნით;

6.4.2. იღებენ გადაწყვეტილებას კონკურსანტის მიერ დეგუსტაციის პირველ ეტაპზე წარუმატებლად მონაწილეობის თაობაზე, რა შემთხვევაშიც კონკურსანტი ეთიშება კონკურსს.

6.5. ამ წესის 6.4.2. პუნქტის თანახმად მიღებული გადაწყვეტილება კონკურსანტს ეცნობება ელ. ფოსტაზე დეგუსტაციის პირველი ეტაპის დასრულებიდან არაუმეტეს 10 სამუშაო დღის ვადაში.

მუხლი 7. ნამუშევრების (კერძების) დეგუსტაციის მეორე ეტაპი

7.1. დეგუსტაციის მეორე ეტაპზე კონკურსანტი კომისიას წარუდგენს იმავე ნამუშევრის გაუმჯობესებულ ვარიანტს (მზარეულთა რეკომენდაციების გათვალისწინებით), რომლის მომზადებაც განხორციელდა დეგუსტაციის პირველ ეტაპზე.

7.2. კომისია აფასებს ამ წესის 8.1. პუნქტით გათვალისწინებულ კონკურსანტის მიერ წარდგენილ ნამუშევარს და იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას კონკურსანტის „გემო ფესტში“ მონაწილეობის თაობაზე ამ წესის მე-11 მუხლის თანახმად.

შენიშვნა* - დეგუსტაციის როგორც პირველ, ასევე მეორე ეტაპზე ადგილობრივი კერძი არ მოიცავს მხოლოდ ძველსა და ტრადიციულ კერძს, არამედ შესაძლებელია კონკურსანტმა კომისიას წარუდგინოს მის მიერ შექმნილი ახალი კერძი, რომელიც დაეფუძნება ადგილობრივ ინგრედიენტებსა და რეგიონისათვის დამახასიათებელ გემოებს.

თავი II. შესარჩევი კომისია

მუხლი 8. მონაწილეთა შესარჩევი კომისიის შემადგენლობა

8.1. კომისიის შემადგენლობაში შედის:

8.1.1. ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის წარმომადგენლ(ებ)ი;

8.1.2. ადგილობრივი მუნიციპალიტეტის წარმომადგენლ(ებ)ი; ან იმ შემთხვევაში თუ რეგიონს გააჩნია დანიშნულების მართვის ორგანიზაციის (DMO), აღნიშნული ორგანიზაციის წარმომადგენელ(ებ)ი;

8.1.3. მზარეულთა გუნდი.

8.2. მონაწილეთა შესარჩევ კომისიაში შემავალ პირთა ვინაობა და რაოდენობა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განისაზღვრება ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით.

მუხლი 9. მზარეულთა ვალდებულებები

9.1. მზარეულთა ვალდებულებას წარმოადგენს:

9.1.1 განახორციელოს მონაწილეებისთვის რეკომენდაციების და გამოცდილების გაზიარება;

9.1.2. საჭიროების შემთხვევაში განახორციელოს წინა საფესტივალო შეხვედრები;

9.1.3. გასცეს რეკომენდაციები „გემო ფესტის“ მენიუს შედგენისას;

9.1.4. გასცეს რეკომენდაციები „გემო ფესტის“ კერძების ვიზუალის თაობაზე;

9.1.5. გასცეს რეკომენდაციები გარე სივრცეებში კერძების მომზადების სპეციფიკის თაობაზე;

9.1.6. გასცეს რეკომენდაციები კერძების საფასო პოლიტიკასთან დაკავშირებით.

მუხლი 10. გემო ფესტის მონაწილეთა საბოლოო შერჩევა

10.1. „გემო ფესტის“ მონაწილე საბოლოოდ შერჩეულად ითვლება საფესტივალო დეგუსტაციის მეორე ეტაპის დასრულების შემდგომ.

10.2. შეჯიბრებითობის, სამართლიანობისა და კეთილსინდისიერების პრინციპებზე დაყრდნობით, „გემო ფესტის“ მონაწილეთა შერჩევის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს კომისია, ხმათა უმრავლესობით.

10.3. კომისიის წევრების ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.

10.4. კომისიის საბოლოო გადაწყვეტილება კონკურსანტს ეცნობება დეგუსტაციის მეორე ეტაპის დასრულებიდან არაუმეტეს 10 სამუშაო დღის ვადაში, მის მიერ აპლიკაციაში მითითებულ ელ. ფოსტაზე.

მუხლი 11. „გემო ფესტის“ მონაწილის ვალდებულებები

11.1. „გემო ფესტის“ მონაწილე ვალდებულია:

11.1.1. საკონკურსო ან/და საფესტივალო ნამუშევრების მომზადებისა და წარდგენისას ზედმიწევნით დაიცვას ჰიგიენის ნორმები.

11.1.2. დაიცვას ეთიკის ნორმები.

11.1.3. დაიცვას კოლეგიალობის პრინციპები.

11.1.4. გაითვალისწინოს ამ წესის მე-10 მუხლით გათვალისწინებული რეკომენდაციები.

11.2. იმ შემთხვევაში, თუ „გემო ფესტის“ მონაწილის მიერ მომზადებული კერძით ზიანი მიადგება „გემო ფესტის“ სტუმრ(ებ)ის ჯანმრთელობას, გემო ფესტის მონაწილე დამოუკიდებლად აგებს პასუხს მესამე პირისთვის მიყენებული მატერიალური და არამატერიალური ზიანის ანაზღაურების კუთხით.

11.3. „გემო ფესტის“ მონაწილე სამართლებრივი წესით პასუხის აგებს ისეთი ქმედებისთვის, რამაც ადმინისტრაციას მიაყენა მატერიალური და არამატერიალური (რეპუტაციული) ზიანი.

11.4. „გემო ფესტის“ მონაწილე ვალდებულია დაიცვას წინამდებარე წესის **დანართი N1**-ით განსაზღვრული ეთიკის ნორმები.

დანართი N1

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის გასტრონომიულ ფესტივალზე „გემო ფესტი“ დაწესებული ეთიკის ნორმები

„გემო ფესტის“ შესარჩევ კონკურსზე, ისევე როგორც უშუალოდ „გემო ფესტში“ მონაწილეობისას კონკურსანტს ან/და მონაწილეს ეკრძალება:

- არაკეთილგანწყობილი და არაეთიკური დამოკიდებულების გამოვლენა „გემო ფესტის“ შესარჩევი კონკურსის მონაწილეების ან/და შესარჩევი კომისიის წევრების, ან/და „გემო ფესტის“ მონაწილეების, ან/და სტუმრების მიმართ, მათ შორის: ჩხუბი, ყვირილი, ემოციური ჟესტიკულაცია. ასევე, არაკოლეგიალური, შეურაცხმყოფელი და დისკრიმინაციული დამოკიდებულება გარშემომყოფთა მიმართ;

- ინფრასტრუქტურის დაზიანება, განადგურება, ვანდალიზმი;

- ალკოჰოლური თუ სხვა ძლიერმოქმედი ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ ყოფნა;

- იმგვარი ჩაცმულობა, რამაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს მისი პროფესიული რეპუტაცია ან/და შელახოს „გემო ფესტის“ იმიჯი;

- საკვების მომზადებისა და წარდგენის ან/და „გემო ფესტზე“ სტუმრებისთვის საკვების მიწოდების ეტაპზე ჰიგიენის ნორმების დარღვევა.